

მევენახე – 010154

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მევენახის საქმიანობა მიეკუთვნება აგრარული მიმართულების სფეროს.

მევენახის პროფესია ითვალისწინებს სასათბურე და საველე მეურნეობის პირობებში (სანერგე და მსხმოიარე ვენახის ნარგაობა) სხვადასხვა სახის აგროტექნიკური ღონისძიებების შესრულებას თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით.

II. დასაქმების სფერო

სახელმწიფო და კერძო ფერმერული მეურნეობები; სასათბურე და სანერგე მეურნეობები; მევენახეობის დარგის სხვადასხვა აგროფირმები;

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მევენახის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი. თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

მევენახის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 45 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მევენახის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

მევენახის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 25 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მევენახის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

მევენახის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მევენახის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

IV. მევენახის კვალიფიკაციის აღმწერი

მევენახის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

| | | |
|---|--|---|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p> | <p>ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • აგრონომიული საფუძვლების (მიწათმოქმედება, ნიადაგმცოდნეობა, მელიორაცია, აგროქიმია, ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, მცენარეთა დაცვა) სიღრმისეულ ცოდნას • აგრომეტეოროლოგიის საკითხებს. <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასათბურე და სანერგე მეურნეობის მოწყობის პრინციპები ვენახის გაშენებისა და მოვლის ღონისძიებები. • აგრონომიაში გამოყენებული მექანიზაციის ექსპლოატაცია უსაფრთხოების წესების დაცვით. • ვაზის გასხვლა-ფორმირება, საყრდენების მოწყობა და ნიადაგის დამუშავება ახალშენ და მსხმოიარე ვენახში. |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p> | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სასათბურე მეურნეობაში შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული სამუშაოები (საძირე და სანამყენე მასალის მომზადება, კვირტით მცნობა, ნამყენების მოვლა სათბურში - დახარისხება, დაპარაფინება, სტრატეფიკაცია, გაკაყება). • სასუქების გამოყენება უსაფრთხოების ნორმების წესების დაცვით, ბრძოლა მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. • გამოიყენოს თანამედროვე მექანიზაციური მანქანები და აპარატები. გააჩნია აგრომეტეოროლოგიის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი</p> | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალშენ და მსხმოიარე ვენახში წამოჭრილი პრობლემების შეფასება და ანალიზი. მისთვის ცნობილი ინფორმაციებისა და მეთოდების გამოყენებით; • ვაზის სასათბურე მეურნეობაში დამოუკიდებლად შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული სამუშაოები. |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ</p> | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენაზე, • საინფორმაციო ქსელებში არსებული სიახლეების გაცნობა, • პესტიციდებზე ეტიკეტებისა და მოხმარების ინსტრუქციების კითხვა |

| | | |
|----------------------|---|---|
| | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. | და გაგება. <ul style="list-style-type: none"> • სასოფლო-სამეურნეო მანქანების ინსტრუქციებისა და ტექნიკური დოკუმენტების გაცნობა. • კოლეგებთან პრობლემების მოგვარება, სამეურნეო ჩანაწერების გაკეთება, სამუშაო დღის, თვის ან წლის გეგმის და ანგარიშის დამოუკიდებლად შედგენა. • საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. |
| სწავლის უნარი | შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. | აქვს საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლის შესაძლებლობების პასუხისმგებლობით განსაზღვრის უნარი. |
| ღირებულებები | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. | გაცნობიერებული აქვს საკუთარი პროფესიული მოვალეობები, ახასიათებს ორგანიზებულობა, არის დისციპლინირებული და პუნქტუალური. პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. |

მევენახის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

| | | |
|--|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. | ფლობს აგრონომიული საფუძვლების (მიწათმოქმედება, ნიადაგმცოდნეობა, მელიორაცია, აგროქიმია, ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, მცენარეთა დაცვა) ცოდნას. იცის სასათბურე და სანერგე მეურნეობის, ვენახის გაშენების და მოვლის ღონისძიებები. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნი | შეუძლია შეარჩიოს ვაზის ჯიშები, მათი დატვირთვის, გასხვლა-ფომირების და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებებიდან ოპტიმალური ვარიანტი. შეუძლია მარტივი ფინანსური ხარჯთაღრიცხვის წარმოება. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია სპეციფიკური პრობლემების | შეუძლია ახალშენ და მსხმოიარე ვენახში წამოჭრილი პრობლემების |

| | | |
|---------------------------|--|--|
| | გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი. | გადაჭრა მისთვის ცნობილი ინფორმაციებისა და მეთოდების გამოყენებით; მათი შეფასება და ანალიზი. ვაზის სასათბურე მეურნეობაში დამოუკიდებლად შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული სამუშაოები. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება. | შეუძლია პროფესიულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის გაცვლა მშობლიურ და უცხო ენაზე (ზეპირი და წერილობითი) შეუძლია ამ მიზნით თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. |
| სწავლის უნარი | შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში. | აქვს საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლების განსაზღვრის უნარი. კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი. შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. |
| ღირებულებები | პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად. | პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობას; ვაზის აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე შესრულებას. ახასიათებს ორგანიზებულობა, და პუნქტუალურობა. იცავს შრომის უსაფრთხოების წესებს. |

მევენახის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

| | | |
|------------------------------|--|--|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს). | აქვს აგრონომიული საფუძვლების (მიწათმოქმედება, ნიადაგმცოდნეობა, მელიორაცია, აგროქიმია, ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, მცენარეთა დაცვა) სასათბურე და სანერგე მეურნეობის მოწყობის პრინციპების ცოდნა. აცნობიერებს ახალშენი და მსხმოიარე ვენახის მოვლის ღონისძიებებს: ნაკვეთის შერჩევა, ქარსაფარი ზოლების მოწყობა, ნაკვეთის დამუშავება, განაყოფიერება, დარგვის წესი, ნიადაგის დამუშავება, სარეველათან და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები. ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადედის მოვლა. იცის ჯიშის შესწავლის მეთოდები, სტანდარტულ ასორტიმენტის დახასიათება. იცის ვენახში გამოსაყენებელი სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენების ნორმები და ჯერადობა. ფლობს ვაზის ჯიშის შესწავლის მეთოდებს; შეუძლია ჯიშის მიმართულების განსაზღვრა და სტანდარტული ჯიშების დახასიათება. |
|------------------------------|--|--|

| | | |
|---|--|--|
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p> | <p>შეუძლია: შეარჩიოს ვაზის ჯიშები, დატვირთვის, გასხვლა–ფორმირების და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებებიდან ოპტიმალური ვარიანტი. შეუძლია პრაქტიკული პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტა, სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზება..</p> |
| <p>დასკვნის უნარი</p> | <p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p> | <p>შეუძლია ახალშენ და მსხმოიარე ვენახში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა მისთვის ცნობილი ინფორმაციებისა და მეთოდების, პრაქტიკული უნარების გამოყენებით; მათი შეფასება და ანალიზი. დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. შეუძლია ვაზის ჯიშების მიხედვით ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების დამოუკიდებლად განსაზღვრა.</p> |
| <p>კომუნიკაციის უნარი</p> | <p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p> | <p>შეუძლია პროფესიული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა უცხო ენაზე. გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მევენახის პროფესიული საქმიანობის სიახლეების დაუფლების მიზნით.</p> |
| <p>სწავლის უნარი</p> | <p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p> | <p>აქვს საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლების დაგეგმვის უნარი, შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება და მიმართულების განსაზღვრა.</p> |
| <p>ღირებულებები</p> | <p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p> | <p>აფასებს სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებების მიმართ. იცავს და სხვებისგანაც ითხოვს ვაზის აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების ვადების, წესებისა და ნორმების, ასევე სანიტარულ–ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვას</p> |